საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ ინდ. მეწარმე ნუგზარ წყაროზიას გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩუმლაყის ტერიტორიაზე გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო, რომლის ექსპლუატაციის საფუძველსაც წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 ივლისის N2-1006 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ამ ეტაპზე ინდ. მეწარმე ნუგზარ წყაროზია გეგმავს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო მფლობელობაში გადასცეს შპს „აგრო საწარმოს", რომლის თანადამფუძნებელი და დირექტორი არის ნუგზარ წყაროზია.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ძველი სკრინინგის განცხადების და სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად, საწარმოში ადგილი არ ჰქონდა წყალჩაშვებას და სალექარი ორმოდან წყალი მთლიანად ბრუნდებოდა საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში. ამ ეტაპზე კომპანია გეგმავს ცვლილებას, რის საფუძველზეც სალექარ ორმოში შეგროვებული და გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება მდ. ჭერმისხევის ერთ-ერთ განშტოებაში. აღნიშნულის გათვალისწინებით და „გრემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მეორე დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად, განსახილველად წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (სამსხვრევ-დამხარისხებელი) საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის. ელ ვერსია.

პატივისცემით,

შპს „აგრო საწარმოს"

დირექტორი ნუგზარ წყაროზია

№ 1722
"04" 02. 2022.
03